



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 7 22 0001249525



07/10/2022

„სსიპ კასპის კოლეჯისთვის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №751963 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დაწესებულების მიერ 2022 წლის 2 აგვისტოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) წარმოდგენილი წერილის (ცენტრში რეგისტრაციის №866123), პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ კასპის კოლეჯისთვის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭების შესახებ პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №751963 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი).
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 7 ოქტომბრის №1247836 ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01093	ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება	პროფესიული მომზადება	მესამე	16	ქართული	30	ქ. კასპი, აღმაშენებლის ქ. №168 ვ